სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღებად კონკურსის გამოცხადების რექტორის 2024 **წლის 4 ივნისის** №142/01-01 ბრძანების საფუძველზე **გეოგრაფიის** დეპარტამენტის (ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის და მეტეოროლოგიის კათედრა და ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრა), გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 **წლის 28 ივნისის** დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი #1

ქ. თბილისი 23 ივლისი 2024

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 4 **ივნისის** №142/01-01 ბრძანებით, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორის ორ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის შემოვიდა: ერთი განაცხადი ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრაზე; და ერთი განაცხადი ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრაზე. თსუ აკადემიური საბჭოს 2024 **წლის 28 ივნისის** დადგენილების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას.

კომისიის შემაჯამებელ სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი: 1. პროფ. ზურაბ სეფერთელაძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. პროფ. დავით კერესელიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოც. პროფ. ლამზირა ლაღიძე (კომისიის მდივანი); 4. პროფ. ლია მაჭავარიანი 5. ასოც. პროფ. გიორგი მელაძე.

დღის წესრიგი:

საკითხი 1

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრაზე, ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე, სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

საკითხი 2

2. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრაზე, ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე, სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

საკითხი 3

3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარის პროფ. ზურაბ სეფერთელაძის შემაჯამებელი ინფორმაცია, კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის I ეტაპზე შემოწმდა და შეფასდა საკონკურსო დოკუმენტაცია, ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრის კონკურსანტის **გიორგი ბრეგვაძის** მიერ წარმოდგენილ ანკეტებში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი N4).

ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრის კონკურსანტის **გიორგი ბრეგვაძის** შეფასება:

კონკურსის I ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი №4).

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".

შეფასების II კატეგორიაში "პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მოცემული მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წაკითხული კურსები, სასწავლო-მეთოდური პუბლიკაციები, სილაბუსები და სხვ.) კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

შეფასების III კატეგორიაში "სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა" წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატია, საერთაშორისო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ.), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

კონკურსანტის მიერ კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა როგორც სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ნაშრომი. **კონკურსანტი** თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (პროექტებში მონაწილეობა, მივლინება/სტიპენდია/სტაჟირება) და სხვ.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას მიმართულების განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. გამოიკვეთა კონკურსანტის უშუალო ჩართულობა და თაოსნობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში.

შეფასების IV კატეგორიაში"კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა" წარმოდგენილი ჩამონათვალის საფუძველზე, როგორიცაა: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი; კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის წევრი; მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა; მაგისტრატურაში მისაღები საგამოცდო კომისიის წევრი; სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრობა. მონაწილეობა გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების პროექტებში. კონკურსანტი არის საექსპერტო კომისიების წევრი; ასრულებს სხვადასხვა ტიპის საკონსულტაციო/საექსპერტო საქმიანობას.

ფლობს **კომპიუტერულ პროგრამებს:** MS Word, MS Excel, MS Power Point, ArcGIS, MIKE 11 და ქართული, ინგლისური, რუსულ ენებს.
შეფასების IV კატეგორიაში კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

კონკურსანტი გადაყვანილ იქნა მეორე ეტაპზე, გასაუბრება დაინიშნა 20 ივლისს.

გასაუბრებისას კონკურსანტმა გამოავლინა მაღალი სამეცნიერო ერუდიცია და პროფესიონალიზმი ჰიდროლოგიური საკითხების სიღრმისეული ცოდნის, დარგის თანამედროვე ტენდენციების, სტიქიური მოვლენების შეფასების, სასწავლო პროცესის რეგულაციების და სხვა ცოდნა.

გასაუბრებისას კომისიის მიერ დასმული კითხვები ეხებოდა როგორც სასწავლო საქმიანობას ასევე სამეცნიერო თემატიკას:

ა. კერძოდ სასწავლო საქმიანობის (ხარისხის სამსახური) შეთავსებას სასწავლო-სამეცნიერო სამუშაოსთან. კონკურსანტმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესში უფრო მეტად უწევს ჩართულობა, რაც გეოგრაფიის დეპარტამენტის სასწავლო პროგრამებთან მიმართებაში ძალზედ მნიშვნელოვანია.

კომისიის მიერ დასმული კითხვები ეხებოდა შემდეგ სამეცნიერო თემატიკას:

ბ. შოვის ტრაგედიას და მის გამომწვევ მიზეზებს, კონკურსანტმა მოახდინა მყინვარის სხეულში არსებული ნადნობი წყლის რეზერვუარების შეფასება და ახსნა მეწყრული ნაშალი მასალის გლაციალური ზონიდან გამოტანის მიზეზები, რამაც გამოიწვია ღვარცოფის წარმოქმნა. კონკურსანტის მიერ ასევე შეფასებული იქნა სტიქიური პროცესების რისკ-ფაქტორები.

გ. ჰიდროლოგიური გაანგარიშებების დროს დღევანდელ ტექნიკურ მითითებებს. კონკურსანტმა ახსნა ტექნიკურ მითითებებში არსებული ემპირიულ ფორმულები, რომლითაც გაანგარიშდება მდინარის სხვადასხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯები და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე შეაფასა კლიმატის ცვლილების გავლენა მდინარის ჩამონადენის გაზრდილ რაოდენობაზე და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ამ ტექნიკური მითითებების გამოყენება მიზანშეწონილად მიაჩნია.

გასაუბრებისას კონკურსანტმა **გიორგი ბრეგვაძემ** გამოავლინა მაღალი სამეცნიერო ერუდიცია და პროფესიონალიზმი, სამეცნიერო და საგანმანათლებო საკითხების ღრმა ხედვა. პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას და ღირსეული კანდიდატურაა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტის ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. კომისიის თავმჯდომარის პროფ. ზურაბ სეფერთელაძის შემაჯამებელი ინფორმაცია, კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის I ეტაპზე შემოწმდა და შეფასდა საკონკურსო დოკუმენტაცია, ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრის კონკურსანტის **თამარ ალექსიძის** მიერ წარმოდგენილ ანკეტებში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი N4).

ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრის კონკურსანტის **თამარ ალექსიძის** შეფასება:

კონკურსის I ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი №4).

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".

შეფასების II კატეგორიაში "პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მოცემული მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წაკითხული კურსები (სასწავლო-მეთოდური პუბლიკაციები, სილაბუსები და სხვ.) კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

შეფასების III კატეგორიაში "სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა" წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია, საერთაშორისო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი და ა.შ., კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

კონკურსანტის მიერ კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი ნაშრომი, კომისიის მიერ შეფასდა როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ნაშრომი.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას მიმართულების განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. გამოიკვეთა კონკურსანტის უშუალო ჩართულობა და თაოსნობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში.

შეფასების IV კატეგორიაში "კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა" და "დამატებითი ინფორმაცია" წარმოდგენილი ჩამონათვალის საფუძველზე, როგორიცაა: სამაგისტრო საგამოცდო კომისიის მდივანი, სტუდენტურ კონფერენციაზე სტუდენტების მოხსენების შეფასების კომისიის წევრი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.
შეფასების IV კატეგორიაში კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

კონკურსანტი გადაყვანილ იქნა მეორე ეტაპზე, გასაუბრება დაინიშნა 20 ივლისს.

გასაუბრებისას კონკურსანტმა გამოავლინა მაღალი სამეცნიერო ერუდიცია და პროფესიონალიზმი ბუნებთსარგებლობის საკითხების სიღრმისეული ცოდნის, დარგის თანამედროვე ტენდენციების, და სხვა ცოდნა.

გასაუბრებისას კომისიის მიერ დასმული კითხვები ეხებოდა:

1. გეოგრაფიის დარგის განვითარების პერსპექტივას. კონკურსანტმა წარმოადგინა გეოგრაფიის დარგის განვითარების პერსპექტივები, ისაუბრა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ აგრეთვე მნიშვნელოვანია მეცნიერული კონტაქტების გაღრმავება.
2. კითხვა ეხებოდა საგნის პრაქტიკული სამუშაოების გაუმჯობესების გეგმებს. კონკურსანტმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული სამუშაოების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია სტუდენტთა ჩართულობის ხარისხი, ლექციის ინტერაქტიური სტილი. საპრეზენტაციო მასალების მრავალფეროვნება: კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, აეროკოსმოსური, გეო-საინფორმაციო და სხვა.
3. პრაქტიკული სამუშაოების სახელმძღვანელოს განახლებას და სიახლეებს ახალ გამოცემაში. კონკურსანტმა აღნიშნა, რომ მე-2 გამოცემას დაემატა გეოგრაფიის არსი, გეოგრაფიული შესწავლის ისტორია, შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები, გაიზრდება ტესტების რაოდენობა და შინაარსი.

გასაუბრებისას კონკურსანტმა **თამარ ალექსიძემ** გამოავლინა მაღალი სამეცნიერო ერუდიცია და პროფესიონალიზმი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საკითხების ღრმა ხედვა. პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას და ღირსეული კანდიდატურაა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგების მიხედვით, კომისიის ხუთივე წევრმა მხარი დაუჭირა, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრის, ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე **გიორგი ბრეგვაძის** კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას.

დასაბუთება: გიორგი ბრეგვაძე არის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი – ჰიდროლოგი, აქვს თსუ-ში მუშაობის 18 წლის გამოცდილება, აღნიშნული პროფილით გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები მაღალი რეიტინგის ჟურნალებში, არის მონოგრაფიების თანაავტორი, მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ფორუმებში, მჭიდრო კონტაქტი აქვს დარგში მოღვაწე საერთაშორისოდ აღიარებულ ექსპერტებთან არის საერთაშორისო და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტების ძირითადი შემსრულებელი; სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში მიღებული გამოცდილება და პროფესიული უნარები სრულიად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგების მიხედვით, კომისიის ხუთივე წევრმა მხარი დაუჭირა, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის , ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე **თამარ ალექსიძის** კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას.

დასაბუთება: თამარ ალექსიძე არის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი – გეოგრაფი, აქვს თსუ-ში პედაგოგიური მუშაობის 18 წლის გამოცდილება, აღნიშნული პროფილით გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები არის მონოგრაფიების ავტორი, მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ფორუმებში, აღსანიშანვია მის მიერ ჩატარებული .პრაქტიკული სამუშაოების მრავალფეროვნება სტუდენტთა ჩართულობის ხარისხი და სხვა. სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში მიღებული გამოცდილება და პროფესიული უნარები სრულიად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

ერთხმად დადაგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, გეოგრაფიის დეპარტამენტის ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე, სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის I და II ეტაპების შეჯამებით და ფარული კენჭისყრის ბიულეტინების დათვლის შედეგად (5 ხმა დადებითი, წინააღმდეგი 0), გამარჯვებულად გამოცხადდეს **გიორგი ბრეგვაძე.**

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, გეოგრაფიის დეპარტამენტის ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე, სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის I და II ეტაპების შეჯამებით და ფარული კენჭისყრის ბიულეტინების დათვლის შედეგად (5 ხმა დადებითი, წინააღმდეგი 0), გამარჯვებულად გამოცხადდეს **თამარ ალექსიძე**

3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ და გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის წევრები:

1. ზურაბ სეფერთელაძე (კომისიის თავმჯდომარე)
2. დავით კერესელიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ლამზირა ლაღიძე (კომისიის მდივანი)
4. ლია მაჭავარიანი (კომისიის წევრი)
5. გიორგი მელაძე (კომისიის წევრი)